

სამართალსუბიექტობის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ

გიორგი გ. თუმანიშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

On Several Important Issues on Legal Personality

George G. Tumanishvili

Doctor of Law, Professor

Teaching University European Academy (Georgia); Caucasus University, Caucasus School of Law (Georgia); Sul Khan-Saba Orbeliani Teaching University (Georgia); Masaryk University (Brno, Czech Republic)

რეზიუმე

წინამდებარე სტატიის მიზანი იყო მოეხდინა იმ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, რომელთა შესახებაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა დუმს. საკითხთა წრე აქტუალურია მსოფლიო მასშტაბით და დღევანდელ დღეს წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივ-ბიოეთიკური კვლევების საკითხს.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავდა თითოეული ასეთი საკითხის ზუსტ იდენტიფიცირებას, იმისათვის, რომ გაგრძელდეს სტატიაში დასმულ პრობლემურ საკითხებზე შემდგომი კვლევა-ძიება და მოძიებულ იქნას მათი სამართლებრივი გადანწყვეტის გზები, რომლებიც ასახვას ჰპოვებენ მოქმედ კანონმდებლობაში და დაარღვევენ კანონმდებლის დუმილს და ამ საკითხთა მნიშვნელობის განზრახ თუ უნებლიე უგულვებელყოფას.

სამართლის ძირითადი დანიშნულებაა ადამიანის, როგორც უზენაესი სიკეთის, მისი სიცოცხლის, სხვა სამართლებრივი უფლებების დაცვა და ამ უფლებათა რეალიზაციის ხელშეწყობა. სამართალურთიერთობათა ძირითადი სუბიექტი არის ადამიანი, რომლის გარეშეც არ იარსებებდა არც სამართალი. სამართალსუბიექტობა არის ის საძირკველი, რომელსაც ეფუძნება უფლების არსებობა, მისი დაცვა ან/და რეალიზაცია.

შეუძლებელია ამ საკითხთან მიმართებით ღია კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე მწყობრი დოქტრინალური კონცეპციის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი რეალიზება.

წარმოდგენილი სტატია ახდენს ამ ეტაპისათვის, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ მსოფლიოში იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების იდენტიფიცირებას, რომელზეც აუცილებელია გაცემულ იქნას ვალიდური, არგუმენტირებული და დროსთან შესაბამისობაში არსებული პასუხები შემდეგ კითხვებზე:

ვინ/რა არის სამართლის სუბიექტი და რა მომენტიდან (ადამიანის დაბადების მომენტის განსაზღვრის პრობლემა)? როგორია ჩანასახის სამართლებრივი სტატუსი? რა მომენტიდან ითვ-

ლება განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ჩანასახად? რა პრობლემებთან არის დაკავშირებული დონორთა რეესტრის არარსებობა? შესაძლებელია თუ არა განაყოფიერებულ კვერცხუჯრედთა განადგურება კვერცხუჯრედისა თუ სპერმის გამცემის თანხმობის გარეშე? შესაძლებელია თუ არა განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ტრანსფერი კვერცხუჯრედის ან/და სპერმის გამცემის თანხმობის გარეშე? როგორია სიამის ტყუპების სამართლებრივი სტატუსი? როგორია ორსქესიანი ადამიანის სამართლებრივი სტატუსი? რა არის სქესი სამართლებრივი თვალსაზრისით?

ეს არის იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა ნაწილის იდენტიფიცირებასაც ეხება წარმოდგენილი სტატია იმ იმედით, რომ საქართველოს სინამდვილეშიც დაიწყება ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სამეცნიერო, სიღრმისეული და შინაარსობრივი კვლევა.

SUMMARY

This article aims at identifying problematic issues, which the current legislation of Georgia is silent about. These are the issues that are actively discussed throughout the world and today it represents the subject of modern legal-bioethical studies.

The goal of this paper is to exactly identify each of these issues so that to continue further research on the problematic issues raised in the article, and to find the ways of resolving them from the legal standpoint, which will be reflected in the effective legislation, and break the silence in the legislation and address intentional or unintentional ignorance regarding the significance of these issues.

Main purpose of the law is to protect the rights of a human being, as a supreme good, its life and other legal rights, and to support realization of these rights. A human being is the main subject of legal relations, and the law would not exist without it. Legal personality is a foundation that represents the grounds for existence, protection and/or realization of the rights.

It is impossible to develop a solid doctrinal conception and then to realize it without answering the questions that are open in regard to this issue.

This article identifies the issues that are currently of paramount significance not only in Georgia, but also in the developed world, which necessitate providing valid, reasoned and timely answers to the following questions:

Who/what is the subject of law, and from which moment (the problem of determining the moment of birth of a human being)? What is the legal status of an embryo? From when is the fertilized egg considered to be an embryo? What problems does the absence of Donors Registry create? Is it possible to destroy the fertilized eggs without the consent of persons donating the egg and the sperm? Is it possible to transfer the fertilized egg without the consent of the egg and/or sperm donor? What is the legal status of conjoined twins? What is the legal status of a bigender person? What is gender from the legal standpoint?

This is an incomplete list of those issues, part of which will be identified in this article, hoping that the scientific, in-depth and comprehensive research of these important issues will start in Georgia too.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეთერთმეტე მუხლი განსაზღვრავს, რომ ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოადგენს უნარს, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, იგი წარმოიშობა ფიზიკური პირის დაბადების მომენტიდან და წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა. აქვე აღნიშნულია, რომ ფიზიკურ პირს არ შეიძლება წაერთვას უფლებაუნარიანობა.

უფლებაუნარიანობის ცნების განხილვისას, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი განსხვავებულად განსაზღვრავს ადამიანის დაბადების მომენტს. ანუ იბადება კითხვა, თუ უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან - რა ჩაითვლება თვით დაბადების მომენტად? საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, ცალსახა პასუხს არ სცემს. არც დოქტრინაში არის ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო სამართლებრივი დოქტრინები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ უფლებაუნარიანობა იწყება ახალი სიცოცხლის დაბადებით. გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ადამიანის უფლებაუნარიანობა იწყება დაბადების სრულად დამთავრებით“, ხოლო დაბადების სრულად დამთავრებაში იგულისხმება, როდესაც ნაყოფი ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით გამოეყოფა დედის საშოს, მიუხედავად იმისა, ჭიპლარი მოჭრილი იქნება თუ არა. შვეიცარიის ცივილური კოდექსით უფლებაუნარიანობა იწყება „მშობიარობის დამთავრებით წარმოშობილ სიცოცხლესთან ერთად“. ფრანგული სამართლის მიხედვით, უფლებაუნარიანობა დამოკიდებულია ბავშვის სიცოცხლისუნარიანობაზე. ცოცხლად დაბადებულად ჩაითვლება ნაყოფი, თუკი მშობიარობის შემდეგ ბავშვი ისუნთქავს. სიცოცხლისუნარიანობის აბსტრაქტული და სადავო ცნების მაგივრად ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი უფლებაუნარიანობის წარმოშობას უკავშირებს ახლად დაბადებული ბავშვის სიცოცხლის ხანგრძლივობას. კერძოდ, ესპანური სამართლის მიხედვით ახლად დაბადებული მშობიარობიდან 24 საათი უნდა ცოცხლობდეს, იმისათვის, რომ ჰქონდეს უფლებაუნარიანობა.

როგორც აღინიშნა, ქართული სამოქალაქო კოდექსი დაბადების ფაქტს არ უკავშირებს არც ახალშობილის სიცოცხლისუნარიანობას და არც იმას, თუ რამდენ ხანს იცოცხლა მან დაბადების შემდეგ. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უკავშირებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ვფიქრობ, რომ აუცილებელია ახალშობილის დაბადების, როგორც ტერმინოლოგიური, ისე შინაარსობრივი მხარის საკანონმდებლო დონეზე ტექსტურად შემოღება და დეფინიციური დაკავშირება გარკვეულ ფაქტებთან თუ გარემოებებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაინც შეიძლება წარმოიშვას მრავალი სადავო საკითხი უფლებაუნარიანობასთან მიმართებაში, ვინაიდან შესაძლებელია სადავო გახდეს ის, რომ ბავშვი დაბადებული იყო თუ არა რომელიმე კონკრეტულ მომენტში და რა უნდა ჩაითვალოს ამ შემთხვევაში დაბადებად. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობების რეალიზაციის სიბრტყეში.

უფლებაუნარიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია ის, რომ მართალია, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებისთანავე, სამოქალაქო სამართალი იცავს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის ინტერესებსაც. უფრო ზუსტად, ჩასახული ნაყოფის ინტერესებს.

ჩასახული ბავშვის სამართლებრივი დაცვის ფორმები სრულიად სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ სამართლის რომელი დარგი ეხება ამ პრობლემატიკას. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩანასახს უკვე აქვს მემკვიდრედ ყოფნის უფლება. სხვაგვარად არის საქმე ამ უფლების რეალიზაციასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკვე დაკავშირებულია დაბადებასთან.

თანამედროვე მედიცინის მიღწევებმა ხელოვნური განაყოფიერების სფეროში ბევრი ისეთი

პრობლემა წარმოშვა, რომლებიც სამართლისთვის სრულიად უცხო და მოულოდნელი იყო. დღევანდელი მედიცინისათვის, პრაქტიკულად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განაყოფიერება ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირის გარეშე, ხელოვნური ემბრიონის ჩასახვა და მათი სერიული გამოყენება.

დღევანდელ დღეს არც ისე იშვიათია ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება იმ პირების მიერ, რომლებსაც სხვადასხვა ფიზიოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე არ შეუძლიათ ბუნებრივად იყოლონ საერთო შვილი.

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ბავშვის დაბადება არის შესაძლებელი სამი გზით:

- პირველი, როდესაც ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერებას ახდენენ დონორი მამაკაცის (ამ შემთხვევაში, მის მეუღლეს არ აქვს დონორის სტატუსი) სპერმით (ინსემინაცია);

- მეორე, როდესაც ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხდება დონორი მამაკაცის სპერმით (**ექსტრაკორპორალური-ინ ვიტრო**);

- მესამე, როდესაც განაყოფიერება ექსტრაკორპორალული გზით, მაგრამ ამ განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონი გამოზრდის მიზნით თავსდება სხვა ქალის (სუროგატი დედის) საშვილოსნოში.

განსახილველ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ პირველ ორ შემთხვევაში (ინსემინაციისა და ექსტრაკორპორალური განაყოფიერების დროს), თავის მხრივ, დასაშვებია ოთხი შემთხვევა:

- როდესაც განაყოფიერებისათვის გამოყენებული სპერმა არის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე მამაკაცის სპერმა (ჰომოლოგიური ინსემინაცია);

- როდესაც განაყოფიერებისათვის გამოყენებული სპერმა არის რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფი მამაკაცის (რომლის ვინაობაც ქალისათვის ცნობილია) სპერმა (ჰეტერონომიური ინსემინაცია);

- როდესაც განაყოფიერებისათვის გამოყენებული სპერმა არის იმ დონორის ვისი ვინაობაც დედისათვის ცნობილი არ არის (დონორის ვინაობის შესახებ საიდუმლოების დაცვა ეკისრებათ სამედიცინო დაწესებულების შესაბამის თანამშრომლებს კანონით დადგენილი წესის მიხედვით);

- როდესაც განაყოფიერებისათვის გამოყენებული სპერმა არის იმ დონორის ვისი ვინაობაც დედისათვის ცნობილი არ იყო, მაგრამ რაიმე მიზეზით დაირღვა საექიმო საიდუმლო და დონორის პიროვნება გაცხადდა.

ზემოჩამოთვლილი შემთხვევების ანალიზისას მნიშვნელოვანია ის, რომ თუ განაყოფიერება ხდება ქმრის სპერმით ეს არ წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს, რადგან ბავშვი გენეტიკურად საკუთარი მშობლებისაგან (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისაგან) ჩაისახა. იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა (რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მეუღლემ მამაკაცმა) თანხმობა განაცხადა სხვა დონორი მამაკაცის სპერმის გამოყენებაზე, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, დადო ხელშეკრულება სამედიცინო დაწესებულებასთან (რომელშიც აღინიშნა, რომ მას არ აქვს უფლება ხელოვნური განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის მამობის დადგენასთან დაკავშირებით) ვინ უნდა ჩაითვალოს ბავშვის მამად.

პრობლემატური საკითხები საოჯახო სამართლის სფეროს ეხება და უშუალო კავშირშია მშობლებისა და შვილების სამართალურ თითქმის თანაბრობასთან, მამობისა და დედობის დადგენის საკითხებთან, რომლებზეც საუბარი გვექნება სხვა სტატიებში, სადაც დეტალურად განვიხილავთ დასმულ საკითხებს.

წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში მინდა შევეხო ასევე იმ იშვიათი შემთხვევების შესახებ, რომელზედაც ამ ეტაპისათვის კანონმდებელი დუმს. ე,წ, „სიამის ტყუპები” წარმოადგენენ ერთ

ფიზიკურ პირს, თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ „დამოუკიდებელ“ ფიზიკურ პირთან?

არსებობს ორი ტიპის ტყუპი. ეს არის მონოზიგოტური და დიზიგოტური.

დიზიგოტური ტყუპების ჩასახვა ხდება ორი ან მეტი კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად და ჩასახვა შესაძლოა მოხდეს როგორც მხოლოდ ერთ, ისე ორივე კვერცხუჯრედში. დიზიგოტური ტყუპები შეიძლება იყვნენ როგორც ერთიდაიმავე, ისე სხვადასხვა სქესის. მონოზიგოტური ტყუპები ერთი სანაყოფე კვერცხიდან ვითარდებიან. თუ სანაყოფო კვერცხი განაყოფიერებიდან 13-15 დღეზე გვიან დაიყოფა (რაც უკვე ძალიან დაგვიანებულია) ეს იწვევს ჩანასახების შეზრდას რაც წარმოადგენს სიამის ტყუპების განვითარების (წარმოშობის) დეტერმინანტს. მათ გენების ერთი და იგივე კომბინაცია აქვთ, მაგრამ აქვთ განსხვავებული დნმ ნუკლეოტიდების დონეზე და არა გენომის დონეზე.

ეს უიშვიათესი მოვლენა ყველაზე ხშირად აფრიკასა და აზიაში ხდება, მიუხედავად მეცნიერების დიდი შრომისა, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ამ „პათოლოგიის“ (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, რომ პათოლოგიად იხსენიებოდეს) გამომწვევი მიზეზების დადგენა, დადგენილია მხოლოდ პროცესი, რომელიც ამ დროს დედის ორგანიზმში მიმდინარეობს. შეზრდილი ტყუპების 70 - 75% მიეკუთვნება მდედრობით სქესს.

სიამის ტყუპების დაალოებით ნახევარი მკვდრად შობილია, ისინი დაბადებამდე იღუპებიან, უფრო მცირე ნაწილი კი იბადება ცოცხალი, მაგრამ დაბადებიდან რამდენიმე საათში იღუპება, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი კი ახერხებს გადაჩენას. სტატისტიკა მიახლოებით ესეთია - მკვდრად შობილი სიამის ტყუპები - 40% დან - 60% მდე, დაბადებიდანვე მალე გარდაცვლილი სიამის ტყუპები - 35%-მდე, გადარჩენილი სიამის ტყუპები - 25%-მდე.

ურთიერთ შეზრდის ლოკალიზაციის, თავის ტვინის, კიდურების და შინაგანი ორგანოების განვითარების მიხედვით განასხვავებენ სიამის ტყუპების სხვადასხვა სახეებს.

შეზრდის ვარიაციები:

- ინოპაგები - კეფით შეზრდილი ტყუპები;
- იშოიპაგები - შორისით შეზრდილები;
- ომფალოპაგები — ჭიპით შეზრდილები;
- ქსიფოპაგები ანუ თორაკოპაგები (სიამის ტყუპები) — გულმკერდით შეზრდილები;
- კრანოპაგები, ცეფალოპაგები — თავით შეზრდილები;
- პიგოპაგები — კუდუსუნით შეზრდილები;
- პროზოპოტორაკოპაგები — სახითა და გულმკერდით შეზრდილები და სხვა.



სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობანი, უპირველესყოვლისა დაფუძნებულია ნების გამოვლენაზე. სიამის ტყუპების შემთხვევაში, როდესაც სახეზეა შეზრდილი ტყუპები ორი თავის ტვინით ნიშნავს, რომ სახეზეა ორი სხვადასხვა ადამიანის ნება, იბადება კითხვა თუ როგორ უნდა გადანყდეს სამართლებრივი ურთიერთობა თუ კი მათი ნება ერთმანეთს ეწინააღმდეგება? ექნება თუ არა ერთის მიერ დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება მეორეს?

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული ტყუპები ფიზიკურად პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურები არიან, აქვთ ერთი სხეული, საერთო ორგანოები, ვერ ვიტყვით, რომ ის ერთი ადა-

მიანია, რადგან მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობა არ განაპირობებს ადამიანის „ადამიანობას“. ადამიანის ძირითადი წარმმართველი არის ტვინი. სიამის ტყუპებს რომელსაც ორი ტვინი აქვთ სხვადასხვა რამეს ფიქრობენ, სხვადასხვანაირად გრძნობენ, ორივეს თავისი საკუთარი „მე“ გააჩნია, „მე“, რომელსაც თეოლოგია სულს უწოდებს. ყოველივე ამის შემდეგ შეუძლებელია ტყუპები ერთი ადამიანი იყოს, სიამის ტყუპი, ეს არის ორი ადამიანი ერთ სხეულში. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა ისინი უნდა განიხილოს როგორც ორი, სხვადასხვა ინდივიდი (ფიზიკური პირი), მათ ორივეს ცალ-ცალკე უნდა გააჩნდეთ ის ყველა უფლება და მოვალეობა, რომელსაც სამოქალაქო სამართალი ანიჭებს ფიზიკურ პირს. შესაბამისად მათ უნდა ჰქონდეთ უფლება ერქვათ სხვადასხვა სახელები, პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციაც თითოეულზე ცალ-ცალკე უნდა გაიცეს. მაგალითისთვის, აშშ-ში მცხოვრებ სიამის ტყუპებს ები და ბრიტნი ჰენსელებს აქვთ ორი მართვის მონმობა, ორი დიპლომი და ა.შ. რაც მიუთითებს იმაზე რომ აშშ-ს შესაბამის შტატში სიამის ტყუპებს სხვადასხვა ინდივიდებად მიიჩნევენ.

არსებობს რიგი საკითხებისა სიამის ტყუპებთან დაკავშირებით, რომლებსაც, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ უტოპიამდე მივყავართ. ამგვარი საკითხია სიამის ტყუპების ქორწინება. გავიხსენოთ როგორ არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქორწინებას: სსკ-ს 1106-ე მუხლი ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. როგორც დავინახეთ ქორწინება არის პირების ნებაყოფლობითი კავშირი, როდესაც ერთ-ერთ სიამის ტყუპს სურს ქორწინება, ხოლო მეორეს არა, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი? ამ საკითხზე ისევე, როგორც სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ამ დროისთვის კანონმდებელს პასუხი არ აქვს, უფრო მეტიც, კანონმდებელი დღესაც 2015 წელს მიიჩნევს, რომ ხსენებული 1106 მუხლი არადისკრიმინაციულია სექსუალური უმცირესობების ქორწინებასთან მიმართებით.

შემდეგი ჰიპოთეზურად პრობლემური საკითხია - პირი რომელიც სიამის ტყუპებზე ქორწინდება, ქორწინდება ერთ-ერთ მათგანზე თუ ორივეზე? გამომდინარე იქიდან რომ სსკ კრძალავს მრავალცოლიანობას, მრავალქმრიანობას, გამოდის, რომ პირი რომელიც ქორწინდება სიამის ტყუპზე, ქორწინდება ერთ მათგანზე.

ასევე პრობლემური საკითხია სიამის ტყუპის მიერ შვილის გაჩენა და ამ ურთიერთობის რეგულირებასთან მიმართებაში. თუ კი სიამის ტყუპს გააჩნია ორი თავი, ერთი სხეული, შესაბამისად ერთი სასქესო ორგანო, ვთქვათ და ისინი დაფეხმძიმდნენ (მდედრობითი სქესის სიამის ტყუპის შემთხვევაში), როგორ უნდა გაირკვეს, თუ რომელი მათგანია დედა, ან რომლის ნებას წარმოადგენდა დაფეხმძიმება. სამართლებრივად ერთ-ერთი მათგანია დედა თუ ორივე? მშობლად ორივე მათგანი ვერ იქნება მიჩნეული, რადგანაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ ერთ დედას და ერთ მამას. არსებობს შემთხვევები, როდესაც ცალკეული ორგანოები მიუხედავად იმისა, რომ ტყუპები შეერთებულნი არიან განეკუთვნება ერთ-ერთ მათგანს მხოლოდ (მისი ნებელობის ქვეშ ექცევა ფიზიოლოგიურად). როგორ უნდა გადაწყვიტოს სამართლომ დავა თუ რომელს მიანიჭოს მშობლის სტატუსი, თუ კი ორივე მათგანი გამოთქვავს მშობლად აღიარების სურვილს. სსკ-ს მიხედვით შეუძლებელია ორი დედის, ან ორი მამის არსებობა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად დედას და შვილს შორის უფლება მოვალეობის წარმოშობისთვის საჭიროა დედისგან ბავშვის დაბადება, ხოლო მამობის დასადგენად სისხლის ნათესაობასთან ერთად ქორწინების რეგისტრაცია, ან იმ შემთხვევაში თუ კი ნებაყოფლობით აღიარებს ბავშვის მამობას, ან მამობა სასამართლო წესით დადგინდება.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია სიამის ტყუპების ერთმანეთისგან გაყოფის სამართლებრივი საკითხები.

შეუძლებელია ერთ სტატიაში ყველა იმ საკითხზე დეტალური საუბარი და მით უფრო სამართლებრივად ვალიდური პასუხის მოძიება (შეთავაზება), რომელთა მხოლოდ იდენტიფიცირებისთვისაც არ არის საკმარისი ერთი სტატია. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხუთ წელზე მეტია წელია ვმუშაობ ამ საკითხთა ფილოსოფიურ, სამართლებრივ, ბიოეთიკურ და სამედიცინო კვლევაზე საზღვარგარეთ, წარმოდგენილი სტატიის მიზანია ქართულ ენაზე მომეხდინა სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებული რამოდენიმე საკითხის იდენტიფიცირება, ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ დაიწყოს და განახორციელოს შესაბამისი, თანადროული სიღრმისეული კვლევა და ანალიზი.